საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №274

14 ივლისი 2014 თბილისი, საქართველო

2014 წლის 14 ივლისს 12:00 სთ-ზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: გრიგოლ გოგელია, მარინა მუსხელიშვილი, ნათელა სახოკია, ქეთევან მსხილაძე, ლელა გაფრინდაშვილი, გიორგი კოხრეიძე და ალექსანდრე ვახტანგოვი. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო, გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხი:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს სახელზე შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვა.

პირველი საკითხი

სამეურვეო საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ გოგელია უძღვებოდა. სხდომას საბჭოს თავჯდომარის მოწვევით ესწრებოდნენ მაუწყებლის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი ელენე მიხაილოვა, ამავე სამსახურის იურისტი დიმიტრი ბერძენიშვილი. ასევე, სხდომას სამეურვეო საბჭოს მოწვევით, ესწრებოდნენ, სააპელაციო საჩივრის წამომდეგენი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები კერძოდ: მედიის განვითარების ფონდი თამარ კინწურაშვილი, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი ნინო ცინცაძე, „იდენტობა“ ნინო ბოლქვაძე, ქალთა ინიციატივერბის მხარდამჭერი ჯგუფი, კავშირი „საფარი“, კონსტიტუციის 42-ე მუხლი ლიკა ჯალაღონია.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

შემდეგ გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ არასმათვარობო ორგანიზაციების მიერ სამეურვეო საბჭოს სახელზე გამოგზავნილი სააპელაციო საჩივარი, მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს 2014 წლის 23 აპრილს გაეგზავნა, რომელზეც გადწყვეტილება 2014 წლის 22 მაისს იქნა მიღებული. გადაწყეევტილება, გაეგზავნათ საჩივარზე ხელმომწერ არსამთავრობო ორგანიზაციებს. 2014 წლის 23 ივნისს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს სახელზე შემოვიდა ზემოთ ხსენებული არასამთავრობო ორგანიზაციების სააპელაციო საჩივარი. საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს და დამსწრე პირებს გააცნო წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის ძირითადი ნაწილი.

სხდომაზე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გამოთქვეს საკუთარი მოსაზრება და დააფიქსირეს თავიანთი მოთხოვნა. სამეურვეო საბჭოს წევრებმა მოისმიენს საჩივრის წარმომდგენი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, საკითხზე მსჯელობა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა. გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ სამეურვეო საბჭო აღნიშნულ საკითხზე 2014 წლის 23 ივლისამდე მიიღებს გდაწყვეტილებას, რომელიც ეცნობათ საჩივრის წარმომდგენ არასმთავრობო ორგანიზაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა. საბჭოს შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობებათ. (2014 წლის 14 ივლისის სხდომის სრული ვიდეო ჩანაწერი განთავსებულია მაუწყებლის ვებ-გვერდზე).

საბჭოს თავმჯდომარე — გრიგოლ გოგელია

სხდომის მდივანი — ირინე ზაქარიაშვილი